

დროშა

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროშის“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაფლოვის სახლში.
წელიწადში მთლიანად, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлиси, ред. „Дроша“
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 გ.; 10 თვით—
3 მ.; 9 თვით—7 მ. 50 გ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ., 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ., 50 გ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ., 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროშისა“ ღირს 5 კაპეიკა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე-ცხრედიან სტრუქტურაზე
8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრულყოფილად დასრულებულ
ლი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრუქტურა-
ლისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-
ლობაზედ.
თუ საქართველო მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდებს
ავტორს.
„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за
границы принимаются только въ цент. конторѣ,
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6“

შედეგი ნომერი „დროშისა“ გამოვა საშაბათს მარტის 9 ს.

„დროშის“ ფასი აპრილის პირველიდან
წლის დამლევამდე 7 მ. და 50 გ.; სოფლის მისწავ-
ლებელთათვის 5 მან. და 50 გ.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

ქართული თეატრი
კვირას, აპრილის 7-ს
ქართული დრამატული დასახეგან
წარმოდგენილი იქნება:
I
ქუდიანი-ხანა
დრამა 3 მოქმედ. თხზ. თ. აკაკი
წერეთლისა.
II
მარიამ-ცმისხსა
პოემლი 1 მოქმედ.
დასაწყისი 8 საათზე.

სასამართლო ამბავი

ჩვენს საზოგადოებას ესმება ამ
ორის წლის წინად გამოჩენილის მხატვ-
რის ზიხის მიერ დადგმული ცხოველი
სურათები შეფხვის ტყაოსნიდან; გაე-
გონება, რომ ზიხი ისე მოხიბლა ამ
სახელოვანი პოემის შინაარსმა, რომ
უსასყიდლოდ იკისრა სურათების და-
ხატვა იმ მდიდრული გამოცემისათვის,
რომელსაც ბ. მარტვილი შეი-
ღებდა. მაგრამ ძნელი წარმოსადგენი

იყო, რომ თავის თავაზიანობას ბ.
ზიხი ერთი სამად გადააქცევდა და ასე
მოკლე ხანში დასრულებდა პირველს
ნაწილს თავის შრომისას. გამოცემი-
სათვის შემდგარმა კომიტეტმა სთხოვა
ზიხის მხოლოდ 12 სურათის დახატვა
და ესეც დიდ დავალებად მიანდა
იმის მხრივ. ამ საგნისათვის გაუგზავნა
კომიტეტმა როგორც სრული ფრან-
კულური თარგმანი, აგრეთვე მრავალი
ფოტოგრაფიული სურათები საქართვე-
ლოს ბუნებისა, ხელოვნებისა და ხალ-
ხისა. პრავის იმედი არა ჰქონდა, რომ
ზიხი თავის სურათებს წელიწადზედ
აღრე გაათავებდა, მაგრამ ამ დღეებში
თბილისში მოვიდა მისგან გამოგზავ-
ნილი ესკიზები, რომელნიც გვარწმუ-
ნებენ, რომ ნახევარ საქმე დასრულე-
ბულად უნდა ჩათვალოს. ზიხი იმ
გვარის თავის-სიმდაბლით, რომელიც
ყოველ სულ-დიდს ადამიანს შეშვე-
ნის, სთხოვს კომიტეტს, რომ მან
შენიშნოს, თუ რამ ნაკლები ენება
აქეთ მის ესკიზებს შინაარსთან შე-
დარებით და საჩქაროდ ესკიზები შე-
ნიშნებთურთ უკანვე დაუბრუნოს.
მერე რამდენია ეს ესკიზი და რას
წარმოადგენენ იგინი,—ვგონებთ ჭეჭი-

სამეგრელო გუშინ*)

გამოჩენილი მაგზაური სტენლი,
რომელიც შუა აფრიკაში ლიგინგს-
ტონს ეძებდა, ლაპარაკობს რა იქაუ-
ს კარდებზედ (ოაზისები), იგონებს სა-
მეგრელოს მდიდარს ბუნებას და ამ-
ბობს, რომ ამ ქვეყნის ბუნება აფრი-
კის მშვენიერს კარდებსა ჰგავსო. მართ-
ლაცა და ძველსაში სამეგრელო გა-
მოჩენილია თავის მცენარეობით და
უმშვენიერესს არე. მართ. მომეტე-
ბული ნაწილი, მისი დაცემული ადგი-
ლი, უჭირავს ოდიშს, მდიდარს დიდს
ტყეებით, რომელთა შორის თანდათან
ახოებს სტენს და ვენახებს აკეთებენ.
ოდიში რიონის ველზე მდებარებს;
მას ერთი თავი ზღვასთან უდევს და
მეორე მჭკრივად ჩარიგებულს გორ-
თან, რომელნიც შემოსილი არიან
მარად ამწვანებულის დაფნის ხეებით.
ზორები თანდათან მალდებებიან და

ურთდებიან თოვლით მოსილს უმთავ-
რეს მთას; კარგს დღეში შოთილამ
კარგად მოჩანან მთის კალთები და
თოვლიანი იალობები. პატარა სამეგ-
რელოს არე მარეში, რამდენიმე სხვა-
და-სხვა ბუნებით შემკული ადგილები
მოიპოვებიან: მაგალითად ოდიშში
თითქმის ტროპიკული ბუნებაა და
დაღიანების სენეთში კი სასტაკი.
სამი საკმაოდ დიდი წყლები:
აბაშა, ტეხური და ხოფი, ტყით შე-
მოსილი ხეობებიდამ გამოდიან და
მომდინარეობენ ველზედ, რომელსაც
შუაზე ჰყოფენ და მომეტებული ნაწილი
სოფლებისა ამ მდინარეების ნაპირებზე
გაშენებულნი. პარგი ბუნების მოყვა-
რული კაცი ბერის გულის დამატეო-
ბელს ადგილებს იზოვის სამეგრელო-
ში; საკმაოა რომელსამე გორა-
ზედ ავიდეს, რომ იქილამ დაინახოს
ბუნების დიდებული და გასაოცარი
სურათები; ამისთანა სურათები ხომ,
როგორც მოჩანან მარტვილის მო-
ნასტრიდამ და სახარბედიოდამ, კაცს
თავის დღეში არ დაავიწყდება. ბერებს

რობს მოუთმენელი მკითხველი. ქი-
ლევ ეს გარემოება, რომელმაც გვათ-
ქმენია, რომ ზიხის თავის თავაზი-
ანობა გაუსამკვეცილო. მაგრამ სჯობს
თვით ზიხის წერილიდამ ამოვწაროთ
ერთი ადგილი, რომელიც აშკარად
მხატვრს, თუ როგორ გულ-მოდგინდ
მოჰკიდებია გამოჩენილი მხატვარი შო-
თას თხზულებას:

„მე თქვენ გიგზავნი თა თორმეტს,
არამედ ოც-და-თოხმეტს ესკიზა
ამოსარჩევად. შენიშნეთ, რაც შესა-
ნიშნავია, ნომრობით დასწერეთ და
საჩქაროდ უკანვე გამომიგზავნეთ, რომ
შემვიღოს საქმის მალე დასრულება...
მე დიდად მოხარული ვიქნები, თუ
შევიღებ თქვენის იმედების გამართ-
ლებას და რუსთაველის თხზულებას
შესაფერად გადმოვცემო.“

„პარგი იქნებოდა, რომ ყველა ეს
სურათები თქვენს გამოცემაში მოგექ-
ციათ ცინკოგრაფიით. ძვირადაც არ
დაჯდებოდა: ანჩერერი მენაში და აგ-
რეთვე პარიჟში კვადრატულ სანტი-
მეტრზე 15 სანტიმ. თხოვლობენ.
მაგრამ მოიქცეთ, როგორც თქვენი
სურვილი და შეძლება ნებას მოჰკეთო.
მე ბედნიერად ვაჯდ ჩემს თავს, რომ
თქვენს ჩინებულის ასრის განხორ-
ციელება შევიძლო.“

„მე ჩემის მხრით გამოვცემ არა
მარტო ამ 34 სურათს, იქნება სხვე-
ბიც მიუშვამო და პატარა ფოტო-
გრაფიული ალბომი დავაბეჭდინო და-
საფლეთ-მეგობრისათვის. ამით სახელი
და დიდება ქართველების პოეტის
რუსთაველისა უფრო ერცულად მოი-
ფინება. დასასრულ გთხოვთ მოექცეთ

ყოველთვის კარგი გემო ჰქონდათ
ადგილების ამორჩევაში.“

საკვასიაში ხშირად ნახეთ იმისთა
ნა ადგილებს, რომელნიც კალმით
არ აიწერებიან. მახსოვს ერთხელ ძა-
ხეთში გაიარა ერთმა ჩვენმა პეიზაჟე-
ბის ნიჭიერმა მხატველმა და საშინ-
ლად გაჰკვირდა ალაზნის ველის მშვე-
ნიერებით. მან განიზრახა უსათუოდ
დაეხატა იგი; რამდენსამე თვეს ცდი-
ლობდა შეეგნო ამ ველის მშვენიერება
რადგანაც სხვა-და-სხვა მხრივ ეშლებო-
და თვალ-წინ. ბევრი ეჭოულებიც დახა-
ტა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მოე-
წონა და წავიდა ძველსაშიდამ. წასვლის
წინად იგი შემოვიდა ჩემთან და გა-
მომიტყდა, რომ სუსტი გამოვდევ შე-
მესრულებინა ჩემი განსრახეაო.—და-
უდგარია, მეგობარო, ეს ალაზნის
ველი, თუმცა მშვენიერი რამე არის,
მითხრა მან:—რა ვუყოთ! მერ შე-
ვიძლო; ახლა ვეცდები დავიფიწო
იგი, თორემ სხვა საქმეში დამიშლისო.
ჩვენ გავშორდით ერთმანეთს და მე
ფიქრადაც არ მომივიღოდა, თუ რა

ჩემს სურათებს ისე, როგორც ქართვე-
ლები უმანკო კალს მოექცევიან ხოლ-
მე—ნახად და სათუთად.

ზიხის ამ 34 ესკიზით სწორედ რომ
გადმოცემულია სრული შინაარსი შეფ-
ხის ტყაოსნისა: აქ ნახავთ თინათინის
გვირგვინის კურთხევას, თინათინისა
და ავთანდილის ტკბილ საუბარს, ტა-
რიელს წყლის პირად გულ-მდღულარედ
მტირალს, ტარიელის ქებას, პირ-
გამებებულ ვეფხვითა მჯდარ ნესტარ-
ლარეჯანს, ქეიფის მოყვარე შატმანს
ავთანდილთან მოლიზღარს, ნადირა-
ბის სურათს, თათბირს ძაჯეთის ცი-
ხის ასალებად და სხვ. და სხვ.

გამომცემელს, როგორც შეეიტ-
ყეთ, განუზრახავს ყველა ამ სურათე-
ბის მოქცევა მომავალს გამოცემაში.

შინაური ქრონიკა


== წერა-კითხვის საზ. მმართველო-
ბის წევრი, რომელიც წასულნი იყე-
ნენ სამეგრელოში მეგრელების თავა-
დისაგან შემოწირული ბიბლიოთეკის
მისაღებად, უკვე ჩამოვიდნენ თბილის-
ში და თან ჩამოიტანეს მთელი ბიბ-
ლიოთეკა. მს უკანასკნელი მესდგება
179 ტომისაგან, რომელთა შორის
მრავალი ძვირფასი ხელ-ნაწერია სხვათა
შორის მე-10 და მე-11 საუკუნისა.

== ბასულის ორშაბათს თბილისის
სამსაჯულო პალატაში მომხდარა სხდო-
მა პალატის უფროსის ს. ს. ბონჩა-
როვის თავ-მჯდომარეობით; ამ სხდო-

დისმე კიდევ ენახავი მას. მაგრამ
ოცის წლის შემდეგ, პეტერბურგში,
ერთი მდიდრულად მორთულის კაბი-
ნეტის კედელზედ თვალი შევასწარ
ნაცნობი ადგილის სურათს. მივედი
ახლო, დავაკვირიდი და გამოუთქმელის
სიხარულით ვიკან ის ალაზნის ველი,
რომელიც ასე სტანჯავდა ჩემს ნაც-
ნობს პეიზაჟების მხატველს. სურათზედ
იმისი გვარიც ეწერა. ალაზნის ველი
მალა-ნიჭიერებით იყო დახატული.

თუ რომ მშვენიერია ალაზნის ვე-
ლის დასახელობა, უფრო უმშვენიე-
რესია რიონის ველი, როდესაც მას
მარტვილიდამ და სახარბედიოდამ დაჰ-
ყურებ; ეს ველი, დასერილი დიდი
და პატარა მდინარეებით, ლურჯად
მოკაჰკაჰ ზღვითა სრულდება; მარცხ-
ნივ მისდევს აქარის მთები თოვლით
მოსილის წვერებით, მარჯვენა—სა-
მურხაყანას და აუზახეთის მთები.
რიონის ველს ასამდის ოთხ-კუთხი
ვერსის სივრცე აქვს; უდიდესს სია-
მოვნებას გრძობს კაცი, როდესაც
მის თვალ-გაღუწდენელს სივრცეს

*) იხილეთ „დროშა“ № 58.



მახედ განხილულ იქნა, თუ რა ზომები უნდა იხმარონ იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც დაარღვევენ სანიტარულ წესდებულბათა. სჯის შემდეგ, წევრები იმ აზრს დაადგენ, რომ სანიტარულ წესდებათა დარღვევის საქმენი შესაძლო არის გარჩეის წესდ. 102 მეტ. ძალით. ამას გარდა დაწესდა: ვალდებულნი იქმნენ მომრიგებელი მსახურლები და სხვა მაღალი ინსტანციები ეს საქმენი განაჩინონ რიგს გარეშე და საქმის დასაჩქარებლად იგინი თავიანთ მუდმივის საბინადროდამ გავიდენ სოფლებად და საქმე აღვილობოივ გარჩიონ.

ამ ნაირი ზომები მცლებულნი იქმნებიან იმ შემთხვევაში, თუ ხოლერა გაჩნდა.

== მთავრობას განზრახვა აქვს მზილისში გახსნას სპეციალური სასწავლებელი, რომელიც უნდა შესდგეს სამეურნეო, ტექნიკურ და სამთო განყოფილებათაგანაო.

== დღეს სლავიანთა განმანათლებელის წმ. ძირილე და მეთოდის ათასი წლის დღეობის გამო სემინარიის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა, და შემდეგ მრევნის მოედანზედ — ლიტანია.

== სოფლის მიმირილამ (მრუსოს ხეობაზე) განვილილს თებერვალში ვილაე ბაუს ბეროზოვი სამის დედა-კაციო წასულა ძალადლოლეთს მძახლის გადაცვალბების გამო სამძიბრის სათქმელოდ; მეშვიდე დღეზე დაბრუნებულან ძალადლოლეთილამ უკან, მაგრამ ამოსულან თუ არა, მრუსოსა და ძალადლოლეთის შუამდებარე შად-ლასან შად წოდებულს მთაზედ, ასდგამიათ საშინელი ქარბუქი და ოთხივე ბუქის მსხვერპლნი შექმნილან. ამათი უკან დაბრუნება და ხსენებულს მთაზე ბუქისაგან დახოცვა მარტის ნახევრამდის არაეის გაუგია. შემდეგ ეს მოუ-

დასცქერის. ასეთი სიმშენიერე მიუნიჭებია ბუნებას ძაგასიის ერთი უნაყოფიერესი კუთხისათვის, რომელიც მდიდარია სხვა-და-სხვა ნაირის მცენარეებით. პურისა, სიმინდისა და ლომის მოსავალი ისე უხვად იცის, რომ, ზღაპრად გამოდგება; კარვად მოდის აგრეთვე ბამბა და უმაღლესი ღირსების თამბაქო და ოსმალური თამბაქოს კვალობაზედ იყიდება; თუთის ხეები და ვაზი ყოველი სახლის წინა სდგას, აბრეშუმსა და ღვინოს მხოლოდ იმდენს აკეთებენ, რაც თვითონ ეყოფათ და მხოლოდ ფულია საჭირო, რომ უფრო გაავრცელონ ამათი მოყვანა.

სამეგრელოს მთავრებს ძველადვე ორი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდათ: ერთი ზუგდიდი — აფხაზეთის ახლოს, ინგურზედ რამდენიმე ვერსით დაშორებული მდებარებს ფართო ველზედ, ხოლო მეორე მორდი — იმერეთის სამხლვარზედ, მთიანს ადგილას, მდინარე სხენის-წყალის ხეობის სიახლოვეს. ზუგდიდი საზამთრო სადგო-

ლოდნელი უბედურება გაუგიათ ნათესაეებს და სოფელს, წასულა სოფლის ხალხი საძებნელად და ორი დღე ძებნის შემდეგ ოთხივე სული უპოვენიათ თოვლ-ქვეშ, დედა-კაცები სამივე ერთად. ხოლო ბაუს ბეროზოვი ცოტა უფრო მოშორებით. თუმცა ასე მალე პოვნა იმისთანა თოვლიანს მთაზედ როგორც არის „შად-ლასანა“ შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ, გომირელებმა ნამდვილად არ იცოდენ ის ადგილი სადაც იგინი ბუქისაგან დაიხოცნენ, მაგრამ დედა-კაცებს თავიანთი ჯოხები სამივე ერთად (კონად) შეეკრათ და სადაც იხოცებოდენ იმავე ალაგს ნიზნად თოვლში მაგრა დაერქოთ.

== ხონილამ ხზორად მოგვიდოდს საჩივარი ხიდების უქონლობაზედ. მხლა კი გვწერენ, რომ მდინარე ზუბის-წყალზედ ხიდის კეთება დასრულდესო და მებარომეებისაგან ცარცვა-გლეჯას, როგორც იქნა თავი დაუღწიეთო.

== მლადიკავკაში შემდგარა საზოგადოება, რომელსაც საგნად ექმნება მერგის ხეობაში მოსპოს უდროეოდროს ნადირობა და მით ამ მხრის ნადირი დაიკვას მონადირეთაგან უთაგბოლოდ ქლეტა-ხოცვისაგან.

== სრულიად სომხების მიტროპოლიტის არჩევაში მონაწილეობის მისაღებად რუსის მთავრობის მხრივ დანიშნულია წევრი მთავარ-მართებლის რჩევისა ტაინი-სოვეტნიკი ნ. პრიბილი.

== 300,000 ფრანკი, რომელიც საფრანგეთის მმართველობამ გადასდდა დასაჯილდოებლად იმ პირისა, რომელიც საუკეთესო საშუალებას გამოძებნის ფილოქსერის წინააღმდეგ, რგებია ერთს ბურგუნდიელს მემამულეს ლოდლესს. ამ კაცს ბევრი უმოგზავრია სხვა-და-სხვა ქვეყნებში, ყოფილა

მი იყო და გათქმული მშვენიერის ბალით; ზორდი — საჯაფხულო სადგომი, სადაც ბლომად არის მთილამ მომდინარე წყლები და ნაქებია თავის საღის ჰავით. მხოლოდ ამ ორს ადგილას, აგრეთვე სალხინოში და აბასთუმანში, რომელნიც აგრეთვე მთავრებს ეკუთვნოდათ, იყვნენ რამდენიმე რიგიანი სახლები, თორემ დანარჩენს ადგილებში ვერც ერთს ჩვენებურს სახლებისთანს ვერ ნახავდი იმ დროს, რომელს დროზედაც ჩვენა გვაქვს საუბარი.

ამ მდიდრად შემკულს ქვეყანას, რომელიც გეოგრაფიულს საუკეთესო პირობათა შორის იმყოფება, ისტორიული წარსული ძალიან სამწუხარო ჰქონდა.

მრასის წლის წინად შარდენი ამ ნაირად გეიხატავს სამეგრელოს სურათს: „უმაღლეს წოდებას; ამბობს იგი, — ნება აქვს განავოს თვისი ქვეშევრდომების სიცოცხლე და ქონება. როგორც უნდა, ისე ექცევა, იყვანს ქალებს, ბავშვებს, ჰყიდის მათ და რა-

სხვათა შორის შეერთებულს კუნძულებზე, და აქ შეუშინეია, რომ ადგილობრივნი მემამულენი არა თუ არ ხოცვენ გარეულ ფრინველებს — შინაურს ფრინველებსაც კი ერეკებიან მინდვრებში. ლოდლესი დაბრუნდა სამშობლოში და სცდილობდა ეს ზომა ეხმარა ფილოქსერიან ვენახებში. მალე შესანიშნავი შედეგი იჩინა ამ ზომამ: სხვათა შორის ქათმებმა და ციცრებმა სიხარბით დაუწყეს კენკვა ერთი ვაზილამ მეორეზე გადამფრენავ ფილოქსერას. — თუ კი ეს ზომა უებარი საშუალებაა (?) ფილოქსერის წინააღმდეგ, მაშ ჩვენს ვენახებში ბევრს ვერას ვახლება ფილოქსერა, განსაკუთრებით იმერეთში, სადაც შინაური ქათმები და წვრილი ჩიტები განუწყვეტილად დაუფსფუსებენ ვენახებში.

== აი, კიდევ საშუალება მოსავლის მეორე მტრის კალიის წინააღმდეგ. ბაზაფხულზე, აილებს თუ არა თოვლს და დედა-მიწა ჯერ რბილია, ლენკყო, კალიიან ნიადაგზე უნდა გაირეკოს რაც შეიძლება ბლომად ყოველგვარი მსხვილი საქონელიო. მძოვარი საქონელი ატალახებს რბილს ნიადაგს და ტალახში მარხავს ჯერ გამოუჩეკელს კალიის კვერცხებს. როდესაც ტალახი შეხმება, შიგ მომწყვდიული კვერცხები ვერ გამოიჩეკებიან, რაკი მოუქერს გამხმარი მიწაო.

== საფრანგეთის ბათუმელი ვიცე-კონსული იწერება გავ. „ს. ჰეტერბურგის უწყებებში“, რომ კავკასიის ტუეებში ერთ საინაწითელი სვა (იქნება ურთსქელია?), რომელს თვისებანი შესანიშნავი არიანო. ამ სეს ქეტად ღამაში იყრა აქსა და რატა ჰეტრე ასმობენ, უფრო და უფრო ძაგრდები; წონით მუნსზე სემკურ ქეტად მძიქა და სიმაგრათაც სვობასსო მას. ქეტქმიანით წითელი იყრა აქვს, და შიგა-და-შიგ ეს იყრა უფრო-და-უფრო მუქი სდებოა. როგორც საქმებუ-

საც უნდა იმას უხამს. შოველს გლესს მოაქვს თავის ბატონთან გადაკვეთილი პურის მოსავალი, საქონელი, ღვინო და სხვა ნაწარმოები, ასე რომ მხოლოდ გლესების რიცხვით იზომება ბატონის სიმდიდრე. შველა გლესი უხვდება მასპინძლად თავის ბატონს ერთს, ორს, სამს დღეს წელიწადში, რისგამოც უმაღლესი წოდება მთელი წლის განმავლობაში ერთი ადგილილამ მეორე ადგილას მიდის და გლეხის ხარჯზედ ცხოვრობს. მთავარიც ასე სცხოვრობს, ასე რომ ყოველთვის არ იციან სად არის ხოლმე იგი. მას დაჰყავს თან სახლობა, მოახლევები, მოსამსახურეები, სტუმრები — შინაური და უცხო-ქვეყნენი, როდესაც იგინი ეწვევიან; ყოველივე ეს შეადგენს დიდს ამაღას იმის გამო, რომ აუფეკულობა ზურგით მიაქვთ ხოლმე თითქმის ტიტველა გლესებს. ამ მოგზაურობის დროს მთავარი ხარჯს ჰკრეფავს და სადაც ხარჯი არ ერგება — საჩუქრებს იღებს. ზაზაზედ არჩევს იგი დავებს და საჩივრებს, ხან-ღან-

ლი და სხვა სასმარე ქვეყნულ ქვეყნე ქვირფასიაო.

== ამ მოკლეს სანში ჰეტერბურგში დაქორწილებულს გამაჩენილი შამილის უმცროსი შვილი, რომელიც დატუეკუბულ იქნა 1859 წელს რუსის ჯარებისაგან გუნიბზედ იერიშით მისკლის დროს. შამილს ჰყავდა სამი შვილი; შუათანა გუნიბზედ იერიშის მატანის დროს მოკვდა, უფროსი რუსების გამარჯვების შემდეგ ოსმალეთში გადავიდა და ამ უმადს ულთანას აბდულ-ჰამადის გვარდიაში მსახურებს, და ეს უმცროსი ტუეკედ მიიყვანეს ჰეტერბურგს, სადაც მან მიიღო განათლება ჰაჰუბის კარხუხში.

== დღემდე ნაშუადამკვის პირველ საათს შემდეგ იზოგოშიაკებს საზოგადოტაკასზედ ორჯერ მეტი ჭირის ღების უფლება ჰქონდათ მინიჭებული, სხვა კი ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით აბრეის 1-დამ ოქტომბრის 1-დე ეს უფლება ჩამოხდილი აქვსთ მათ. („ნოვ. ობ.“.)

დავა შუა აზიაში

„აელანის საქმეთა“ შესახებ არა თუ მარტო პარლამენტსა და პალატებში — სხვა კერძო დაწესებულებებშიაც არა ჩვეულებრივი კრებებია ამ ქამად. ამ გვარი კრება სხვათა შორის ყოფილა ლონდონის ბეოგრაფიულს საზოგადოებაშიაც, სადაც ერთს ტოპოგრაფს, გენ. შოკერს წაუკითხავს თვისი მოხსენება; უმთავრესი ყურადღება გენერალს მიუქცევია ჰერათზე და ამის მდებარეობაზედ სტრატეგიულის მხრივ. როგორც სჩანს გენ. შოკერის სიტყვებილამ, თვით ჰერათი არავითარს ბუნებრივს სიმაგრეს არ წარმოადგენს. მს ალაგი გაშლილია ყოველის მხრით და საქმეა მტერი

კი უნიშნავს მოჩივართ საქმის გასარჩევად იმ ადგილს, სადაც იგი ღამის გატარებას აპირობს. როდესაც სხვა-და-სხვა ბატონების გლესები წაიხზებებიან, ბატონები არიგებენ, მაგრამ როდესაც თვით ბატონები წაიხზებებიან, მაშინ მათი საქმის გადაწყვეტა მათსავე ლონგზედ არის დამოკიდებული. მინც ლონიერია, ის არის მართალი. ამისთანა დროს ყველანი ერთნაირად იქცევიან: ერთმანეთს სტაცებენ საქონელს, უწევენ სახლ-კარს, მოსავალს; ასე გასინჯეთ ვაზებსა და თუთისა და ხილის ხეებსაც კი სჩეხავენ ხოლმე. თუ რომ მოწინააღმდეგენი პირის-პირ შეხედენ ერთმანეთს, მოსაკლავად არ ინდობენ. დამარცხებული მთავარს მიმართავს ხოლმე, რომელიც მანამდის ჩხუბში არ ერევა; მაგრამ რაკი ერთხელ გაერევა, იგი გაუგზავნის გამარჯვებულს პატივსაცემ პირს და არიგებს მოჩხუბართ. მორიგება დიდხანს არ ვასტანს და სხვა და სხვა შემთხვევისა გამო კვალად იწყებენ ჩხუბს. სამეგრელოში არც ერთი



თუნდ სრულიად სუსტის იერიშით მივიდეს, რომ იგი ხელში იგდოს. სხვაა ჰერათის გარემოში აშენებული სოფლები, რომელნიც დიდს სიმაგრეს შეადგენენ ამ ქალაქისათვის და რომელნიც ინგლისმა უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება.

ბაზ. „Daily Chronicle“ ულოცავს საზოგადოებათა პალატას, რომელმაც ასეთის სიმშვიდით და აღუშფოთებლად მიიღო კაროლევას მოწერილობა მაშველი ჯარის მაგროვების შესახებ. ასე არ იყო 1878 წელს, უმატებს გაზეთი, როდესაც ამ გვარისავე ჯარის მაგროვებაზე გამოიკცა კაროლევას ბრძანება; მაშინ ამ მოწერილობამ საზოგადო აღშფოთება, აღელვება გამოიწვია. ეს ერთობა განსაკუთრებულს თვისებას შეადგენს ინგლისის ერისას და საუკეთესო, კემპარიტი დამტკიცება იმისი, რომ ავლანის საქმეებმა შეაერთა, შეაკავშირა ინგლისის ერი და ეს ხომ უზირველესი საბუთია მომავალ გამარჯვებისა...

სამოცამდის—ზოგი დიდი და ზოგი მცირე ჯავშინიანი ხომალდი, ყველანი თითქმის მომართულნი ასაფეთქის იარაღებით და ბევრი სხვაც საომარი გემები მზად ჰყავს ინგლისს, რომ 24 საათის განმავლობაში გაემართნენ სითაც ნაბრძანები ექმნებათ. შევლა მოხსენებულს ხომალდებზე უფროსები უკვე დანიშნულნი არიან და საჭირო ინსტრუქციანი ჩაბარებული აქვთ.

შემოხსენებულს ინგლისურს გაზეთს ტელეგრაფით აცნობებენ მენილამ, რომ პოლფეს. მაშველი, რომელსაც მენის ინგლისურმა საელჩომ მიანდო გამოფეთქვა თვისი აზრი ავლანის საქმეთა შესახებ, ახსნა, რომ ინგლისის და რუსეთის შორის ომი აუტდენელიაო. რუსეთი თვით გამოიწვევს ამ ომსაო, თუ რომ ავლანის ემირმა მიიღო ინგლისის წინადადება რკინის გზის გაყვანაზედ შანდაგარსა და ჰერათამდის.

თავდაზნაური არ მოიბოვება, რომ მტრობა და ჩხუბი არა ჰქონდეს, ამისათვისაც იგინი არ იშორებენ იარაღს და მოსამსახურეებიც მარად შეიარაღებულინი ჰყავთ*.

შარდენის შემდეგ, სანამ სამეგრელო რუსეთის ქვეშევრდომობას მიიღებდა, არაერთი ცვლილება არ მომხდარა, რადგანაც სამეგრელოს ოსმალეთის მიმე უღელი ედო კოსტროვს; რომ ეს ასე იყო, ნათლად სჩანს სტატსკი სოვეტნიკის ლიტინოვის აღწერილობიდან, რომელიც მმართველი იყო იმერეთისა და ბურისა 1804 წელს. «თავადები» — ამბობს იგი, — მტარვლები იყვნენ თავანთის ქვეშევრდომებისა და გლეხის სარჩოსაბადებელი თავადს ეკუთვნოდა. მთავრები და თავადები თითქმის ცის ქვეშა ცხოვრობდნენ; ქობი, ფანჩატური ანუ დარდილული ხეების ძირები იყვნენ მათი სადგურები. იკვებებოდნენ იმ სოფლის ხარჯზედ, სადაც დადგებოდნენ და იქ ცხოვრობდნენ იქამდის, სანამ მთლად მცხოვრებთა საზრდოს

შს გზა, რომელიც შეუერთდება ინდოეთისა და მვეთის რკინის გზას, ძალიან გააადვილებდა ინგლის ინდოეთის ჯარების გადაყვანას ავლანის საზღვრებზე.

ამ უკანასკნელ ხანებში ინგლისის საზოგადოება ძლიერ აღუშფოთებია რუს-ოსმალის კავშირზე გავრცელებულს ხმებს. „Daily News“-ს ტელეგრაფით აცნობებენ სტამბოლიდან, რომ რუსის დიპლომატია გულს-მოდგინედ მეცადინეობს გაარკვიოს, — რა გზას დაადგება ოსმალეთი თუ ინგლისსა და რუსეთს შეტაკება მოუხდათ და იქმნება ღარდანილის სრუტე ერთავე მოპირდაპირესათვის დახურული თუ არა. პეტერბურგიდან წინადადება მოუვიდაო პორტას კავშირის თაობაზედ, რომლის საფუძვლად უნდა იყოს status quo-ს დაცვა; შემდეგ, რუსეთი დაპირებოდეს ვითომც ოსმალეთს შარის დათმობას და ბალკანის გასაღების ოსმალეთის ჯარის ძიერ დაჭერას. რუსეთის ამ წინადადებაზე სჯა ჰქონიათ ოსმალეთის მინისტრებს, რომელთაც გამოუთქვამთ, ვითომ, ის აზრი, რომ თუ ინგლისისა და რუსეთის შორის ომი ასტყდა — ოსმალეთი ორ-ცეცხლს შუა იქნება.

ამის გამო ოსმალეთმა ამ წინადადებაზედ გადასწყვიტა რუსეთს უპასუხოს, რომ თუ ომი ასტყდა ის ნეიტრალიტეტს არჩევსო. სხვა ცნობებიდან კიდე სჩანს, რომ რუსეთს მხოლოდ ოსმალეთის ნეიტრალიტეტი სურდა, მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ ჯერ ვერაერთი დასაბუთებული რწმუნება ვერ მისცა ვერც ერთს წინადადებაზედ. ოსმალეთის სახელმწიფო კაცები უფრო სასარგებლოდ სთვლიან, ოსმალეთმა თავისუფლად იმოქმედოს, — რომ ერთის ან მეორე მხარესაგან რაც შეიძლება მეტი ისარგებლოს.

სენ-ჯემის კაბინეტის წევრი ლორდი როზბერი განსაკუთრებულის მინდობი-

არ შესჰამდენ და სიმშვილი და მცხოვრებთა საჩივარი მათს ამაღაზედ იძულებულს არ განდიდა სხვა ახლოს მდებარე სოფელში გადასულიყვნენ. საქმელი უბრალო იყო და თუმცა მთავარს ეჭირა ხელში თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლის საბელი, მაგრამ სუფრა მაინც საერთო იყო და ყველა გლეხს, უძღურს და მახინჯს ნება ჰქონდა მთავრის სუფრაზედ დამჯდარიყო. შანსხევაება მხოლოდ ის იყო, რომ გლეხი აზნაურს ემსახურებოდა, აზნაური თავადს და თავადი მთავარსა.*)

*) ბ-ნი სტატსკი სოვეტნიკის ლიტინოვის სიტყვები საუკეთესოდ მიგვაჩნია. როგორც დაბეჭდილის, ისე შემდეგის წერილებიდან ნათლად სჩანს, რომ მთავრის მცირე-ოდენს მიმე განჯარგულებას მეგრელები ეწინააღმდეგებოდნენ ხოლმე და მაშინ რაღას იზამდნენ, რომ 1804 წ. მართლად ისე ყოფილიყო სამეგრელოს მდგომარეობა, როგორც სტატსკი სოვეტნიკი აგვიწერს? ამასთანავე მოვაგონებთ მკითხველებს, რომ ამ ეჭიუდების ავტორი ბ-ნი ბაროზდინი მაზრის უფროსი იყო და ყოველსავე საქმეს მაზრის უფროსელის თვლით უყურებდა.

ლებით მიდისო ბერლინს. ხმებია, რომ მას აქვს მინდობილი გაიგოს, თუ რა შეხედულებებისაა ბერ-მანია მოსალოდნელს რუს-ინგლისის ომზე. „Times“-ი იწერება, რომ თ-ლი ბისძარკი უფრო ინგლისს თანაუგრძობს, ვინც რუსეთსაო. „სანამ ინგლისი თუნდ ერთი ოთხ-კუთხი მილის მესაკუთრე იქნება ინდოეთში — რუსეთი არ მოიშლის, რომ როგორმე გამოგლიჯოს ინგლისს ეს ნაკუწიც ძალით ან მოტყუილებით — იწერება „Times“-ი, ეს ცხარე მოწინააღმდეგე რუსეთისა. — შერც აესტრია და შერმანია დანდობიან რუსეთს და ამბარებენ თვის საზღვრებს ამ სახემწიფოს მხრით. რუსეთთან ერთად მოქმედება ინგლისს საშუალო აზიაში არ შეუძლიან, რადგან რუსეთი მხოლოდ მაშინ მოისვენებს, როცა ინგლისს ერთიანად გამოგლიჯს ხელიდან ინდოეთს. ამისათვის უმჯობესია ბარემ ეხლავ გადაწყდეს საქმე, სანამ შემდეგ. ბენ. კომაროვის მოქმედება, სწერს იგივე გაზეთი, ისე კი არ უნდა განიჩხეს, როგორადაც მოულოდნელი ფაქტი, არამედ — როგორც ნაწილი იმ პოლიტიკისა, რომელთაც ხელმძღვანელობს რუსეთი საშუალო-აზიაში. ამის გამო, რაღა ექვი, გენ. კომაროვს სხვა უფრო დიდ განზრახვა ჰქონდა სახეში, ვინც ავლანელების გაფანტვა საფრებიდან. წინააღმდეგობა ეჭირებოდა იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ემირის რავალ-პინდში წასვლამ იქონია. თუ რომ ძაბულის რაზმის ამოკლევამ უყურადღებოდ ჩაიარა ინგლისის მხრივ, მთელი აზია, მიუხედავად იმისა რომ ისეთი გულ-უხვობით გაუმასპინძლდა ლორდი ლეფერინი ემირს და ეს უკანასკნელიც და დიდს აღტაცებაში მოვიდა ჯარების დახედვით რავალ-პინდში, — დაწმუნდება რომ რუსეთი ძლიერია ინგლისზე.

„Globe“-ი უჩჩევს მთავრობას სამხედრო მზადების დაშურებას. ლეფერინს უნდა მიეწეროთ, რომ მთ-

1803 წელს დეკემბრის 4-ს, მთავარმა ბრიგად ღადიანმა თავის ხალხით რუსეთის მეფის ქვეშევრდომობა მიიღო იმ პირობით, რომ იგი თვითონ იტოვებდა მხოლოდ სამოქალაქო უფლებათ, დანარჩენ უფლებათ კი რუსეთის ხემწიფეს უთმობდა. ამის შემდეგ მთავრის უფლებას ცვლილება მიეცა. ღადიანი ისე უყურებდა თავის ქვეშევრდომთა ქონებას, როგორც თავის საკუთრებას, რომელსაც აძლევდა მათ იმ პირობით, რომ იგინი მისნი ერთგულნი და მოჩილნი ყოფილიყვნენ; თუ ამ პირობებს დაარღვედნენ, ქონება უნდა ჩამორთმეოდათ, თუმცა ნამდვილად კი სიტყვა საქმედ არ გადიქცეოდა ხოლმე. ჟოველივე მთავრის პიროვნებაზედ და მასთან დაახლოვებულს კაცებზედ იყო დამოკიდებული. მაღალი წოდების ვალი იყო დაეფარა მთავარი იარაღით იმერეთის, ბურის და აფხაზეთის მთავრებისაგან, რომელთაც ღადიანი მარად ებრძოდა, რისაგამოც თავის ქვეყნის კეთილად განწყობის დრო აღარა

ლი არმიის კორპუსი გაგზავნა მწვეთსში. სანამ გენ. კომაროვის მოქმედება არ მოსულა, მთელი დრო უნდა მოვანდომოთ ბელუჯისტანში დიდი ჯარის შეგროვებასა.

ჰერათში გარდაცვლილა ვინმე შენიხი იუსუფ-მამალი; ღრმა მოხუცებული შენიხი წმინდანად და ქალაქის ჰერათის მამად ითვლებოდა, თურმე. ის რუსეთის დაუცხრომელი მტერი იყო და ხალხი ამბობსო — დიდმა მაჰმადმა აიყვანა ზეცას შენიხი, რომ არ მოსწრებოდა ჰერათის რუსებისაგან დაპყრობასაო.

წერილი რედაქტორთან!

პატივცემულს თქვენს გაზეთს „დროებაში“ მე 40 №-ში ამა წლისა იყო დაბეჭდილი წერილი მიწერილი თავადის ბიორგი ჩიხუასაგან თავადის ბიორგი რომანის ძის შრისთავისადმი, შესახებ რკინის გზის გაყვანისა ახალი სენაკის სტაციიდან დაბა ზუგდიდზედ სოხუმამდის. რადგან მე ვიცი დაწერილებითი გარემოება ამ ძლიერ დიდის და ძვირფასის საქმისა ამ მხარესათვის, საჭიროდ ვრაცხ მოვახსენოთ შემდგომი ექვსი წელი იქმნება მას შემდეგ, რაც უგანათლებულესმა თავადმა მეგრელი სამ მისცა გზათა მინისტრს ქალაქი მაზედ, რომ თუ რკინის გზა იქმნება გაყვანილი ახლის სენაკიდან სოხუმამდის დაბა ზუგდიდზედ, მაშინ იგი, თავადი მეგრელითა აძლევს უფასოდ რაც რკინის გზის ღიანდაგისათვის საჭირო იქნება მისი საკუთარი ადგილი და აკრთევე რაც მის ხვედრი ტყილად დასჭირდებათ ტრავერსებისათვის, — აქედგანა სჩანს, რომ ამ რკინის გზის გაყვანას თავადი ნიკოლოზ მეგრელითა დიდად და დიდად თანა უგრძობს და თავის მხრით ჰქონდა. წლის საცხოვრებელს მას ქვეშევრდომნი აძლევდნენ, რითაც იგი კმაყოფილი რჩებოდა და ყოველივე სამსახურის გაწვევისა და საჩუქრის მითმეისათვის უხვად ურიგებდა მიწებს თავად-აზნაურთა და გლეხებს. რამდენიც უფრო ბევრი ეკიდებოდნენ ხენათესვას, იმდენი უფრო ძლიერდებოდა ადგილობრივი მრეწველობა. ამისათვის მთავარი ყველასთან კეთილ-განწყობით სცხოვრობდა, რადგანაც მისთვის სასარგებლო იყო; ამასთანავე ვერც შეეძლო ყველას ისე მოჰქცეოდა, როგორც უნდოდა. მაღალი წოდება, მართალია, პირადს ქვეშევრდომობას უცხადებდა მთავარს, მაგრამ ნამდვილად კი იგი დამოუკიდებლად სცხოვრობდა. მთავარს არ შეეძლო რომელიმე თავადზედ თავის ძალა გამოეჩინა, რადგანაც მას მიეკომავებოდნენ ხოლმე მრავალნი თავად-აზნაურნი და არ აძლევდნენ მთავარს ნებას თავის განზრახვა აესრულებინა.

შენ. მთარგ.



ყოველს ღონისძიებას ხმარობს აქ საგნის განხორციელებისათვის.

ზთხოვეთ უმოჩინოდ დაბეჭდოთ ეს ჩემი წერილი, რომელიც პარლა-პირ შეეხება თავადის ბიორგო რომანის ძის მისთვისაგან აღძრულს საგანს.

თქვენი მარად მადლიერი მოსამსახურე

თ. კოსტანტინე დ-მე ნიჟარაძე.

ჯელოვრამები

„ხრდილოეთის საგანტეხის“

აპრილის 5-ს.

კამარაშვილი. გუშინ მოსული ტელეგრაფით გენერალი კომაროვი იუწყება: ავღანელებმა დასცადეს უველა პოსტები სამხედრო-ზედ; ჩვენს პოსტებს ისევ უწინდელი ადგილები უჭირავთ; ჩვენი რაზმი თამბეკრესთან სდგას; ამ დღეებში მივდივარ ჯარების დასახედავად პოსტებზედ.

პარიში. გენერალი ბრიერ-დე-ლილი იუწყება, რომ აპრილის 14 ჩინელები თავს-დაესხნენ ფრანკუზებს კეპესთან და გონგ-ხოსთან, ვიდრე მისი შიკრიკები აუწყებდნენ ჩინელებს ომის შეჩერებას. ეხლა ამ აზრით მან გაგზავნა შიკრიკები გონგ-ხოსში.

სადი-კარნო ფინანსთა მინისტრად დაინიშნა, დე-მოლი-მინისტრად საზოგადო სამუშაოთა.

კამანა. რუსისის კორვეტი „სტრელოკ“ აქედამ სადღაც წავიდა.

ლონდონი. Times-ი ამბობს: მმართველობის წრეებში უწინდებულად იმედი აქვთ, რომ ომს თავიდან ავიცილებთ; ფინანსიურ წრეებში კი ჭეჭირობენ, რომ რუსებმა განგებ ასტენეს უსამოვნობა, და ამის შესაფერ ზომებსაც ხმარობენ, Daily News-ი ამბობს, რომ კაბინეტმა განიხილა შეცვლილი წინადადება რუსეთისა და გუშინ სადამოზედ გაგზავნა პასუხი პეტერბურგში. Standard-ი ამბობს, რომ დიდის სახეში ფიცილების ელჩებმა ღონდონში შეატყობინეს თავ-თავიანთ მმართველობას, რომ იმედია, ომი ადარ იქნება. Daily telegraph-ი ამბობს, რომ უკანასკნელად სამშაბათს მიღებული ცნობა რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრისა ბრიტანის მთავრობამ სიამოვნებით მიიღოს, რის შესახებაც გაიგზავნა ტელეგრაფი პეტერ-

ბურგს. იმედი აქვთ საცილობელი საგანი მშვიდობით გადაწყვედეს.

„დროების“ უმოსტა.

კორტობას. ერთსეულ რომ სული-თა და სორცით დამტანვე შენმა წერილმა რედაქციისადმი ის ტანჯვები დამავიწყეს და სულით-სორცამდე მომშუქეს. აკაკი.

3-ზს მ- შვილს. თქვენს წერილს დაგებულად, მაგრამ თუ თქვენც დაგვეთანხმებით, ესა მაგისტანს წერილები არ გამოდგებიან. დროს უნდა მივსვდეთ...

თ-თს ი. მ-დს. ვინა ბძინდებით?

ბ. გ-ძეს; ს. ჭ-ძეს; გ. მ-ნს; მეტეხელ პაპას; დავიწყებულ მჭედელს. თქვენი ლექსები და წერილები არც ერთი არ დაიბეჭდება.

ცნობანი

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ლუქნებში და ხელდა-ხელ 1 აპრილიდან 1 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი შური რუსეთის ფუქილისა — 1 გირ. 5 კ.

აქაურის ფუქილისა: შიჩ.

კელის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2

მეორისა — 1 გ. 2 კ.

იმავე ფუქილ. თორხეში გამომცხვარი:

შირველი ხარისხისა — 1 გ. 4 1/2

მეორისა — 1 გ. 3 კ.

მესამისა — 1 გ. 2 1/2

ჯუკარის-მამი შური:

შირველი ხარის. ლავაში 1 გ. 4 1/2

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 3 1/2

მესამისა — 1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

შირველის ხარისხისა — 1 გ. 9 კ.

მეორისა — 1 გ. 8 კ.

სუკი . . . — 1 გ. 16 კ.

ცხვრის ხორცი — 1 გ. 10 კ.

ღორის ხორცი:

შირველის ხარისხისა — 1 გ.

მეორისა — 1 გ.

ჩინის გზა

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის

8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდან მარტო სამშრამდინ

3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ

10 საათზედ და 45 წამ. დილით.

(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო

10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდან თბილისისკენ

12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და

ფოთისკენ

5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ

8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ

8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან ბათუმიდან მომავალი

თბილისში შემოდის

10 საათზედ და 25 წამ. დამით.

მარტო სამშრამდინ

თბილისში შემოდის

8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის

თბილისში

2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.

(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო

რო 7 ს. 53 წ. დიდ.)

განცხადებანი

კრ. ჩარკვიანის

მართული წიგნის მაღაზიაში

ისყიდება უოველგვარი

ქართული წიგნები.

სხვათა შორის ამ მაღაზიაში უშიძინა რამდენიმე წიგნი.

„ბავშვების მოვლა“ თხზ. კომპისა თარგმ. მას. მაჩაბლისა ფასი 1 მანათი.

„თორნივე მრისთავია“ თხზ. აკაკისა — ფასი 1 მან.

„საყმაწვილო ამბები“ თხზ. მისივე — ფასი 40 კაპ.,

„ზადია“ საყმაწვილო წიგნი მისივე — ფასი 15 კ. (3-2)

რადგან ზოგიერთ პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანსე, ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ცხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ, „დროების“ რედაქციაში. უსნი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება რმა მანათილამ ამ მანათამდე, ხარჯის ევალობაზე. ხელის მოწერი ფულის

შემოტანისათვის მიიღონ კვიტანციას, თუ იგი შიბილისა და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს, კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის აღრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი (25-8) გ. ქართველიშვილი.

ჰურკავლი! ჰურკავლი! ჰურკავლი!!!

ძალიან ბევრია ინგლისის მაღაზიაში. იქვე ისყიდება ძალიან იაფად ერთი ნაქერი მიწა მტკვრის პირზედ. (10-7)

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მამკვიდრეთა მაღაზიაში ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და-პირ საკუთარ შენობაში. (14-6)

გამოვიდა და ისყიდება

კლისო

მოთხრობა ჩეხნელთ ცხოვრებიდან თხზულება

ა. მ. მოჩნუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გიქუტოვის წიგნების მაღაზიაში და აწიწუნისკულის სათაქრო კასში ქუთაისში: შილადის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილუჩიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსევე-მესხივეთან; გორში: ბ. ნ. ლომთურთან და ბ. ს. მგლობელივთან; თელავში: ბატ. მ. როსტომ-ველითან.

ახალი მცირე მუდმივ-მოქმედი ავეჯი იაფად

მიიღო

ოქტომბრის მუდმივ 1878 წლის გამოყენაზედ

მუდმივ-მოქმედი ავეჯები

შუშუნა სასმელების გასაკეთებლად:

ზელცერის წყალისა, ლიმონადისა, სოდისა, შუშუნა ღვინობისა, ლუდისა.



სიფონები ლიდებიც არის და პატარებიც; ადვილი გასაწმენდი

J. HERMANN — LACHAPPELLE

J. BOULET et C-ie, Successeurs Ingenieurs-Constructeurs.

RUE BOINOD, 31-33 (Boulevard Ornano, 4-6 PARIS

ვინც ფოსტის მარკას გამოგზავნის, დაწვრილებითა პირობები გაეგზავნება. (6-3)